საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№ 1922 2019 წლის 30 აგვისტო ქ. თბილისი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. მიეცეს უფლება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის №136 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 23 486 (ოცდასამი ათას ოთხას ოთხმოცდაექვსი) ლარი და „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 დეკემბრის №2367 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 1164 (ერთი ათას ას სამოცდაოთხი) ლარი, ჯამში – 24 650 (ოცდაოთხი ათას ექვსას ორმოცდაათი) ლარი, მიმართოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტრული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვის დასაფინანსებლად.

2. ეთხოვოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, ამავე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული განკარგულებების ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიების შესახებ (თითოეული ღონისძიების მითითებით) ინფორმაციის საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის წარდგენა.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**